

შპს მეტეორი

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს მეტეორი

სარჩევი

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში.....	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	12
მმართველობითი ანგარიში	26

შპს მეტეორი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს მეტეორი („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოპერაციების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და საწესდებო კაპიტალის ცვლილებების შედეგებს ამ დროს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და განმარტავს კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობას ფასს-თან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და ისეთი კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას თაღლითობისა თუ შეცდომით გამოწვეული მატერიალური უზუსტობების გამორიცხვით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 02 ოქტომბერს:

ხელმძღვანელობის სახელით

მალხაზ კლაჯიშვილი
დირექტორი
02 ოქტომბერი, 2022წ.
თბილისი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მეტეორი (ს/კ 200209997) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შედეგების შესახებ

შპს მეტეორის მფლობელებსა და ხელმძღვანელებს:

აუდიტის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს მეტეორის (ს/კ 200209997) („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვას. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური საქმიანობისა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

აუდიტის მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მეტეორის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იმ შიდა კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც მენეჯმენტის აზრით დაკავშირებულია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომელიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. ფინანსური ანგარიშგები სიმომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი,

აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველთა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ ჩვენი აზრის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის ამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულსკეპტიციზმს. ამასთან ერთად: ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება განხორციელდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას ჯგუფში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება

აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების, მისი განმარტებების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს.

ჩვენ, სხვა საკითხებთან ერთად, ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად ცალკეული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი ცალკეული მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა ცალკეული მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ცალკეული ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ცალკეულ ანგარიშში გათვალისწინებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე ჭანტურიძე
შპს „ბიზნეს კონსალტინგის“ სახელით

მარიამ ღირსიაშვილი
აუდიტორი

2022 წლის 01 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

შპს მეტეორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	2021 31 დეკემბერი	2020 31 დეკემბერი
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	6	110,462	276,786
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,480,588	3,476,137
მარაგი	8	6,631,132	7,193,400
სხვა მიმდინარე აქტივები		180,907	153,500
სულ მიმდინარე აქტივები		12,403,088	11,099,823
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	309,180	168,253
არამატერიალური აქტივები		1,100	1,100
სულ გრძელვადიანი აქტივები		310,280	169,353
სულ აქტივები:		12,713,368	11,269,176
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		3,199,780	2,896,779
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	10	4,295,162	4,326,015
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,494,941	7,222,793
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		5,218,426	4,046,384
სულ საკუთარი კაპიტალი		5,235,273	4,046,384
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		12,713,368	11,269,177

შპს მეტეორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

	2021 31 დეკემბერი	2020 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები	შენიშვნა 32,779,949	29,620,349
- საქონლის გაყიდვიდან	32,679,632	29,620,349
- სხვა	100,317	-
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	(30,811,486)	(28,516,662)
- საწყისი მარაგი	(7,193,400)	(1,939,747)
- შესყიდვა	(30,249,218)	(33,770,316)
- საბოლოო მარაგი	6,631,132	7,193,400
საერთო მოგება	<u>1,968,463</u>	<u>1,103,687</u>
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	(191,662)	(188,172)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(44,172)	(24,334)
იჯარის ხარჯი	(110,956)	(89,835)
კომუნალური ხარჯები	(9,554)	(3,427)
სხვა ხარჯები	(67,152)	(74,317)
სულ საოპერაციო ხარჯი	<u>(423,495)</u>	<u>(380,086)</u>
სულ საოპერაციო მოგება	<u>1,544,968</u>	<u>723,601</u>
საპროცენტო შემოსავალი	23,666	11,526
საპროცენტო ხარჯი	(204,289)	(193,048)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	704,463	(886,980)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	8,885	763,803
სხვა არაფინანსური აქტივები	(499,329)	61,551
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	<u>1,578,363</u>	<u>480,452</u>
განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი	(16,846)	
მოგება/ზარალი	<u>1,561,517</u>	<u>480,452</u>

შპს მეტეორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

	2021 31 დეკემბერი	2020 31 დეკემბერი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	1,578,363	480,452
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		
კორექტირებები:		
ცვეთა და მორტიზაცია	44,172	24,334
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	<u>1,622,535</u>	<u>504,786</u>
კლება/ზრდა:		
ცვლილებები მარაგში	562,268	(5,253,653)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(2,004,451)	(916,201)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	303,001	2,825,890
საგადასახადო ვალდებულება	-	(110,354)
სხვა აქტივები	(27,406)	(141,610)
ავანსები	-	1,864,718
მოგების გადასახადი	(16,846.00)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>439,101</u>	<u>(1,226,424)</u>
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების გაყიდვა	97,782	-
ძირითადი საშუალების შეძენა	(282,880)	(112,122)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	<u>(185,098)</u>	<u>(112,122)</u>
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(30,853)	816,733
გაცემული დივიდენდი	(389,474)	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	<u>(420,327)</u>	<u>816,733</u>
წმინდა ზრდა (კლება)		
ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	<u>(166,325)</u>	<u>(521,813)</u>
სავალუტო კურსის ეფექტი		40,895
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	276,786	757,704
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	<u>110,462</u>	<u>276,786</u>

შპს მეტეორი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

კაპიტალის მოძრაობა	საწესდებო კაპიტალი	მოგება/ ზარალი	სხვა ცვლილებები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით				3,525,000
მიმდინარე პერიოდის მოგება		480,452		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			40,897	
გაცემული დივიდენდი				
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		480,452	40,897	4,046,384
მიმდინარე პერიოდის მოგება		1,561,516		
მიღებული დივიდენდი				
გაცემული დივიდენდი		(389,474)		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		1,172,042		5,218,426

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ერთეულ ლარში)

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შპს „მეტეორი“-ს (შემდეგში „კომპანია“) მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით.

კომპანია დაფუძნდა 2006 წლის 13 ოქტომბერს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი გლდანის რაიონი, სარაჯიშვილის გამზ. N6. „კომპანიის“ საიდენტიფიკაციო კოდი: 200209997.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი მალხაზ კლაჯეიშვილი (პ/ნ 01005002102).

„კომპანიის“ დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია - მალხაზ კლაჯეიშვილი (პ/ნ 01005002102).

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა რძის და რძის პროდუქტების ნედლეულით საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

(ბ) „კომპანიის“ სამუშაო გარემო: საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიცია მომზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

2. მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძველები

კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა(მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 2019 წლის 15 მაისის სარეკომენდაციო მითითების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რომელიც იქნება გამოყენებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების სრული ნაკრების მომზადებისას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები (“FMG ბუღალტერი”), რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშგების მიხედვით.

(გ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნაფარუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნაფარუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	13-51
მანქანა -დანადგარები	5-12
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-8
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სადარიცხო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებს შორის უმცირესი თანხით.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულია თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით

წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

გადამუშავების დანახარჯები:

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა, მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ან დაახლოებით პირდაპირპროპორციულად, როგორიცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით. კომპანიას აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდება დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მსს ფასს -თან პირველადი ადაპტაცია

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას არ მოუზადებია ისინი წინა პერიოდებში. ამიტომ შედარება და ახსნა იმისა, თუ როგორ გავლენას იქონიებს წინა სააღრიცხვო პრაქტიკიდან მსს ფასს-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მომგებიანობასა და ფულად ნაკადებზე, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული არ არის. მსს ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

35-ე განყოფილება მსს ფასს-ზე გადასხვა მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას მსს ფასს-ზე გადასვლის დღის მდგომარეობით და მოიცავს მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და არასავალდებულო გამონაკლისს.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 01 იანვარი 2018 წელი.

5. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან.

კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა. კომპანიამ შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და გადავიდა გადაფასების მოდელზე.

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს კომპანია აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

შპს მეტეორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ერთეულ ლარში)

6. ფულადი სახსრები

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	101,328	74,571
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7,338	68,552
აშშ დოლარში რეზიდენტ ბანკში	1,796	133,663
	110,462	276,786

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,480,588	3,476,137
	5,480,588	3,476,137

8. მარაგები

	31.12.2021	31.12.2020
საქონელი	6,628,087	7,191,396
მცირეფასიანი საგნები	793	981
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2,253	1,023
	6,631,132	7,193,400

9. ძირითადი საშუალებები

	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	სხვა აქტივები	სულ
ღირებულება					
2020 წლის 1 იანვარი	115,490	79,529	34,448	7,036	236,502
შემოსვლა		111,698	424	-	112,122
გასვლა					-
2020 წლის 31 დეკემბერი	115,490	191,227	34,872	7,036	341,588
შემოსვლა		265,559	2,597	14,723	268,157
გასვლა		(111,698)			(111,698)
2021 წლის 31 დეკემბერი	115,490	345,088	37,469	21,759	498,047
დაგროვილი ცვეთა					-
2020 წლის 1 იანვარი	115,490	10,736	29,811	-	156,037

ცვეთის დარიცხვა	21,316	1,610	1,407	22,926	
გაუქმება რეალიზაციის შედეგად				-	
2020 წლის 31 დეკემბერი	115,490	32,052	31,421	1,407	178,963
ცვეთის დარიცხვა	40,431	1,597	2,143	42,029	
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	(13,916)			(13,916)	
2021 წლის 31 დეკემბერი	115,490	58,567	33,018	3,550	207,075

წმინდა საბალანსო ღირებულება

2020 წლის 31 დეკემბერი	-	159,174	3,451	5,628	168,254
2021 წლის 31 დეკემბერი	-	286,520	4,451	18,208	309,180

ბალანსის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2021 წლის 2 ოქტომბერს ხელმძღვანელობის მიერ.

შპს მეტეორი

მმართველობითი ანგარიში

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ათასობით ქართულ ლარში)

მმართველობითი ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია ეწევა რძის და რძის პროდუქტების ნედლეულით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანია ახორციელებს რძის პროდუქტების ნედლეულის იმპორტირებას და ადგილობრივი ბაზრების მომარაგებას.

კომპანია ფლობს საქართველოს მასშტაბით ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი მალხაზ კლაჯეიშვილი პ/ნ 01005002102.

კომპანიის დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია მალხაზ კლაჯეიშვილი.

კომპანია 2006 წლის 31 ოქტომბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი გლდანის რაიონი, სარაჯიშვილის გამზ #16 კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 200209997.

ფინანსური მიმოხილვა

კომპანიის შემოსავალი რძის და რძის პროდუქტების ნედლეულის საბითუმო ვაჭრობიდან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგინა 32 679 632 ლარი, მაშინ როდესაც 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ეს მაჩვენებელი 29 620 349 ლარს შეადგენდა.

რისკების შეფასება

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დადგენილ ვადებში ყველა ვალდებულებების შესრულებას, როგორცაა საოპერაციო ვალდებულებების დაფინანსება, ხელფასები და ანაზღაურებები, საიჯარო და სასესხო ვალდებულებები.

ლიკვიდობის რისკს შეუძლია მწვავედ შეაფერხოს კომპანიის საქმიანობა და გამოიწვიოს კრიზისი. რისკის შესამცირებლად, კომპანია იცავს ფულადი ნაკადების მართვის დეტალურ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს საკმარისი ფულადი რესურსების მოძიებას და შენარჩუნებას არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვისთვის. ხარჯების დაფარვა ხდება მათი პრიორიტეტულობის მიხედვით შედეგი წესით (კლასადი პროპორციულობით):

- კრედიტორული დავალიანებები (იმპორტი)
- სახელფასო დავალიანებები
- საჭირო საოპერაციო ხარჯები (კომუნალური, იჯარა)
- სხვა ხარჯები

ამგვარად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს დროულად გამოავლინოს რისკი და მოახდინოს მასზე რეაგირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მინიმალური ზიანი და კომპანიის ეფექტური ფუნქციონირება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასებთან დაკავშირებული რისკი, როგორიცაა უცხოური ვალუტის რისკი, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ინფლაცია რომლებიც გავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავლებს და ხარჯებზე.

კომპანიის ძირითად მომწოდებლებს წარმოადგენენ უცხოური კომპანიები, შესაბამისად კომპანიის შემოსავლებსა და ხარჯებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კურსთაშორისი სხვაობები.

საპროცენტო რისკი არის საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის რისკიც მოქმედებს, რადგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მას აღებული სესხების ნაშთმა შეადგინა 4 295 162 ლარი.

კვლევა

კომპანიას არ ჩაუტარებია რაიმე სახის კვლევა 2021 წელს.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანიას არ აქვს აქციები და შესაბამისად 2021 წელს მსგავს ოპერაციას ადგილი არ ჰქონია.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2021 წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები განხილულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობის ანგარიშგებაში კომპანია დამატებით გამოყოფს რამდენიმე კოეფიციენტს:

• საოპერაციო მოგების მარჟა - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი/ამონაგები. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას. 2021 წლისათვის შეადგენს 4.8%-ს. 2020 წელს იგივე მაჩვენებელი 2.47%-ია. კომპანიამ 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 3 მლნ ლარით მეტი შემოსავალი მიიღო საოპერაციო საქმიანობიდან.

• მოგება დაბეგვრამდე - მოგება დაბეგვრამდე/ამონაგები. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს შემოსავლის რა ნაწილი რჩება მოგებად მოგების გადასახადის გადახდამდე. მოგება დაბეგვრამდე ამონაგების 4.8%-ს შეადგენს. 2020 წელს აღნიშნული კოეფიციენტი 1.6%-ის ტოლია. კოეფიციენტის ზრდა გამოწვეულია 2021 წელს საოპერაციო მოგების ზრდით.

• ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1.65-ს შეადგენს, ხოლო მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივების 60%-ია; აღნიშნული ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2020 წელს 1.53-ის, ხოლო ამ წლის მიმდინარე ვალდებულებები მთლიანი აქტივების 64%-ის ტოლია. აღნიშნული კოეფიციენტი 2021 წელს კომპანიამ 2020 წელთან მიმართებაში გააუმჯობესა მიმდინარე აქტივების დაახლოებით 1.3 მლნ-მდე ზრდით.


• აქტივზე უკუგების კოეფიციენტი გამოითვლება წმინდა მოგების აქტივებზე შეფარდებით, შედეგად ვიღებთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომელიც გვამღევეს საშუალებას გავიგოთ ბიზნეს პროცესებში ჩართული აქტივები, რა თანხას გამოიმუშავენ. 2021 წლისთვის აქტივზე უკუგების კოეფიციენტი 12,4% შეადგენს, 2020 წელს კი 4,2%-ს შეადგენდა.

ხელმძღვანელობა არ მოელის აღნიშნული საკითხიდან გამომდინარე მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებებს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, შემდეგი გარემოებების გამო:

• ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის მოთხოვნა მიწოდების მომსახურება უპრობლემოდ ხორციელდება და შეფერხებას ადგილი არ ჰქონია;

სხვა არსებითი რისკი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ლიკვიდურობაზე, კომპანიას არ გააჩნია. სასამართლო დავებთან დაკავშირებული რისკების მხრივ, კომპანია სასამართლო დავა არ მიმდინარეობს.

კომპანიის დირექტორი:



შპს მეტეორი

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს მეტეორი

სარჩევი

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12
მმართველობითი ანგარიში	26

შპს მეტეორი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31

დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს მეტეორი („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოპერაციების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და საწესდებო კაპიტალის ცვლილებების შედეგებს ამ დროს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და განმარტავს კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობას ფასს-თან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და ისეთი კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას თაღლითობისა თუ შეცდომით გამოწვეული მატერიალური უზუსტობების გამორიცხვით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 02 ოქტომბერს:

ხელმძღვანელობის სახელით

მალხაზ კლაჯეიშვილი
დირექტორი
02 ოქტომბერი, 2022წ.
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მეტეორი (ს/კ 200209997) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შედეგების შესახებ

შპს მეტეორის მფლობელებსა და ხელმძღვანელებს:

აუდიტის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს მეტეორის (ს/კ 200209997) („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვას. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური საქმიანობისა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

აუდიტის მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მეტეორის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იმ შიდა კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც მენეჯმენტის აზრით დაკავშირებულია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომელიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. ფინანსური ანგარიშგები სიმომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი,

აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველთა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ ჩვენი აზრის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის ამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულსკეპტიციზმს. ამასთან ერთად: ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება განხორციელდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.

- 0 მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას ჯგუფში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- 0 ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- 0 ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავედროულად მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება

აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- o ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების, მისი განმარტებების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს.

ჩვენ, სხვა საკითხებთან ერთად, ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად ცალკეული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი ცალკეული მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა ცალკეული მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ცალკეული ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ცალკეულ ანგარიშში გათვალისწინებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე ჭანტურიძე

შპს „ბიზნეს კონსალტინგის“ სახელით

მარიამ ღირსიაშვილი

აუდიტორი

2022 წლის 01 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	2021 31 დეკემბერი	2020 31 დეკემბერი
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	6	110,462	276,786
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,480,588	3,476,137
მარაგი	8	6,631,132	7,193,400
სხვა მიმდინარე აქტივები		180,907	153,500
სულ მიმდინარე აქტივები		<u>12,403,088</u>	<u>11,099,823</u>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	309,180	168,253
არამატერიალური აქტივები		1,100	1,100
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>310,280</u>	<u>169,353</u>
სულ აქტივები:		<u>12,713,368</u>	<u>11,269,176</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		3,199,780	2,896,779
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	10	4,295,162	4,326,015
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>7,494,941</u>	<u>7,222,793</u>
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		5,218,426	4,046,384
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>5,235,273</u>	<u>4,046,384</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>12,713,368</u>	<u>11,269,177</u>

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

	2021 31 დეკემბერი	2020 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები	შენიშვნა 32,779,949	29,620,349
- საქონლის გაყიდვიდან	32,679,632	29,620,349
- სხვა	100,317	-
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	(30,811,486)	(28,516,662)
- საწყისი მარაგი	(7,193,400)	(1,939,747)
- შესყიდვა	(30,249,218)	(33,770,316)
- საბოლოო მარაგი	6,631,132	7,193,400
საერთო მოგება	<u>1,968,463</u>	<u>1,103,687</u>
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	(191,662)	(188,172)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(44,172)	(24,334)
იჯარის ხარჯი	(110,956)	(89,835)
კომუნალური ხარჯები	(9,554)	(3,427)
სხვა ხარჯები	(67,152)	(74,317)
სულ საოპერაციო ხარჯი	(423,495)	(380,086)
სულ საოპერაციო მოგება	<u>1,544,968</u>	<u>723,601</u>
საპროცენტო შემოსავალი	23,666	11,526
საპროცენტო ხარჯი	(204,289)	(193,048)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	704,463	(886,980)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	8,885	763,803
სხვა არაფინანსური აქტივები	(499,329)	61,551
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	<u>1,578,363</u>	<u>480,452</u>
განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი	(16,846)	
მოგება/ზარალი	<u>1,561,517</u>	<u>480,452</u>

შპს მეტეორო

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

	2021 31 დეკემბერი	2020 31 დეკემბერი
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	1,578,363	480,452
კორექტირებები:		
ცვეთა და მორტიზაცია	44,172	24,334
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	<u>1,622,535</u>	<u>504,786</u>
კლება/ზრდა:		
ცვლილებები მარაგში	562,268	(5,253,653)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(2,004,451)	(916,201)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	303,001	2,825,890
საგადასახადო ვალდებულება	-	(110,354)
სხვა აქტივები	(27,406)	(141,610)
ავანსები	-	1,864,718
მოგების გადასახადი	(16,846.00)	-
წმინდა ფულადი სახსრები	<u>439,101</u>	<u>(1,226,424)</u>
საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების გაყიდვა	97,782	-
ძირითადი საშუალების შეძენა	(282,880)	(112,122)
წმინდა ფულადი სახსრები	<u>(185,098)</u>	<u>(112,122)</u>
საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(30,853)	816,733
გაცემული დივიდენდი	(389,474)	
წმინდა ფულადი სახსრები	<u>(420,327)</u>	<u>816,733</u>
ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება)	<u>(166,325)</u>	<u>(521,813)</u>
ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		
სავალუტო კურსის ეფექტი		40,895
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	276,786	757,704
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	<u>110,462</u>	<u>276,786</u>

შპს მეტეორი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიში

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

კაპიტალის მოძრაობა	საწესდებო კაპიტალი	მოგება/ ზარალი	სხვა ცვლილებები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით				3,525,000
მიმდინარე პერიოდის მოგება		480,452		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			40,897	
გაცემული დივიდენდი				
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის				
მდგომარეობით		480,452	40,897	4,046,384
მიმდინარე პერიოდის მოგება		1,561,516		
მიღებული დივიდენდი				
გაცემული დივიდენდი		(389,474)		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის				
მდგომარეობით		1,172,042		5,218,426

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შპს „მეტეორი“-ს (შემდეგში „კომპანია“) მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით.

კომპანია დაფუძნდა 2006 წლის 13 ოქტომბერს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი გლდანის რაიონი, სარაჯიშვილის გამზ. N6. „კომპანიის“ საიდენტიფიკაციო კოდი: 200209997.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი მალხაზ კლაჯეიშვილი (პ/ნ 01005002102).

„კომპანიის“ დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია - მალხაზ კლაჯეიშვილი (პ/ნ 01005002102).

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა რძის და რძის პროდუქტების ნედლეულით საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

(ბ) „კომპანიის“ სამუშაო გარემო: საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიცია მომზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

2. მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძველები

კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა(მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 2019 წლის 15 მაისის სარეკომენდაციო მითითების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რომელიც იქნება გამოყენებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების სრული ნაკრების მომზადებისას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები (“FMG ბუღალტერი”), რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

(გ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	13-51
მანქანა -დანადგარები	5-12
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-8
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც საადრიცხო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მიწუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებს შორის უმცირესი თანხით.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულა თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით

წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

გადამუშავების დანახარჯები:

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორცაა, მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ან დაახლოებით პირდაპირპროპორციულად, როგორცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით. კომპანიას აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდება დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევისთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მსს ფასს -თან პირველადი ადაპტაცია

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და მას არ მოუზადებია ისინი წინა პერიოდებში. ამიტომ შედარება და ახსნა იმისა, თუ როგორ გავლენას იქონიებს წინა სააღრიცხვო პრაქტიკიდან მსს ფასს-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მომგებიანობასა და ფულად ნაკადებზე, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული არ არის. მსს ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

35-ე განყოფილება მსს ფასს-ზე გადასვლა მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას მსს ფასს-ზე გადასვლის დღის მდგომარეობით და მოიცავს მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და არასავალდებულო გამონაკლისს.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 01 იანვარი 2018 წელი.

5. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან.

კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა. კომპანიამ შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და გადავიდა გადაფასების მოდელზე.

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს კომპანია აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

შპს მეტეორო
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეულ ლარში)

6. ფულადი სახსრები

	31.12.2021	31.12.2020
ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში	101,328	74,571
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7,338	68,552
აშშ დოლარში რეზიდენტ ბანკში	1,796	133,663
	110,462	276,786

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,480,588	3,476,137
	5,480,588	3,476,137

8. მარაგები

	31.12.2021	31.12.2020
საქონელი	6,628,087	7,191,396
მცირეფასიანი საგნები	793	981
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2,253	1,023
	6,631,132	7,193,400

9. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	სხვა აქტივები	სულ
ღირებულება					
2020 წლის 1 იანვარი	115,490	79,529	34,448	7,036	236,502
შემოსვლა		111,698	424	-	112,122
გასვლა					-
2020 წლის 31 დეკემბერი	115,490	191,227	34,872	7,036	341,588
შემოსვლა		265,559	2,597	14,723	268,157
გასვლა		(111,698)			(111,698)
2021 წლის 31 დეკემბერი	115,490	345,088	37,469	21,759	498,047
					-
დაგროვილი ცვეთა					
2020 წლის 1 იანვარი	115,490	10,736	29,811	-	156,037

ცვეთის დარიცხვა	21,316	1,610	1,407	22,926	
გაუქმება რეალიზაციის შედეგად				-	
2020 წლის 31 დეკემბერი	115,490	32,052	31,421	1,407	178,963
ცვეთის დარიცხვა	40,431	1,597	2,143	42,029	
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	(13,916)			(13,916)	
2021 წლის 31 დეკემბერი	115,490	58,567	33,018	3,550	207,075

წმინდა საბალანსო ღირებულება

2020 წლის 31 დეკემბერი	-	159,174	3,451	5,628	168,254
2021 წლის 31 დეკემბერი	-	286,520	4,451	18,208	309,180

ბალანსის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2021 წლის 2 ოქტომბერს ხელმძღვანელობის მიერ.

შპს მეტეორი

მმართველობითი ანგარიში

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ათასობით ქართულ ლარში)

მმართველობითი ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია ეწევა რძის და რძის პროდუქტების ნედლეულით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანია ახორციელებს რძის პროდუქტების ნედლეულის იმპორტირებას და ადგილობრივი ბაზრების მომარაგებას.

კომპანია ფლობს საქართველოს მასშტაბით ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი მალხაზ კლაჯეიშვილი პ/ნ 01005002102.

კომპანიის დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია მალხაზ კლაჯეიშვილი.

კომპანია 2006 წლის 31 ოქტომბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი გლდანის რაიონი, სარაჯიშვილის გამზ #16 კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 200209997.

ფინანსური მიმოხილვა

კომპანიის შემოსავალი რძის და რძის პროდუქტების ნედლეულის საბითუმო ვაჭრობიდან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგინა 32 679 632 ლარი, მაშინ როდესაც 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ეს მაჩვენებელი 29 620 349 ლარს შეადგენდა.

რისკების შეფასება

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დადგენილ ვადებში ყველა ვალდებულებების შესრულებას, როგორცაა საოპერაციო ვალდებულებების დაფინანსება, ხელფასები და ანაზღაურებები, საიჯარო და სასესხო ვალდებულებები.

ლიკვიდობის რისკს შეუძლია მწვავედ შეაფერხოს კომპანიის საქმიანობა და გამოიწვიოს კრიზისი. რისკის შესამცირებლად, კომპანია იცავს ფულადი ნაკადების მართვის დეტალურ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს საკმარისი ფულადი რესურსების მოძიებას და შენარჩუნებას არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვისთვის. ხარჯების დაფარვა ხდება მათი პრიორიტეტულობის მიხედვით შედეგი წესით (კლასადი პროპორციულობით):

- კრედიტორული დავალიანებები (იმპორტი)
- სახელფასო დავალიანებები
- საჭირო საოპერაციო ხარჯები (კომუნალური, იჯარა)
- სხვა ხარჯები

ამგვარად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს დროულად გამოავლინოს რისკი და მოახდინოს მასზე რეაგირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მინიმალური ზიანი და კომპანიის ეფექტური ფუნქციონირება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასებთან დაკავშირებული რისკი, როგორიცაა უცხოური ვალუტის რისკი, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ინფლაცია რომლებიც გავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავლებს და ხარჯებზე.

კომპანიის ძირითად მომწოდებლებს წარმოადგენენ უცხოური კომპანიები, შესაბამისად კომპანიის შემოსავლებსა და ხარჯებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კურსთაშორისი სხვაობები.

საპროცენტო რისკი არის საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის რისკიც მოქმედებს, რადგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მას აღებული სესხების ნაშთმა შეადგინა 4 295 162 ლარი.

კვლევა

კომპანიას არ ჩაუტარებია რაიმე სახის კვლევა 2021 წელს.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანიას არ აქვს აქციები და შესაბამისად 2021 წელს მსგავს ოპერაციას ადგილი არ ჰქონია.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2021 წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები განხილულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობის ანგარიშგებაში კომპანია დამატებით გამოყოფს რამდენიმე კოეფიციენტს:

- საოპერაციო მოგების მარჟა - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი/ამონაგები. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას. 2021 წლისათვის შეადგენს 4.8%-ს. 2020 წელს იგივე მაჩვენებელი 2.47%-ია. კომპანიამ 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 3 მლნ ლარით მეტი შემოსავალი მიიღო საოპერაციო საქმიანობიდან.
- მოგება დაბეგვრამდე - მოგება დაბეგვრამდე/ამონაგები. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს შემოსავლის რა ნაწილი რჩება მოგებად მოგების გადასახადის გადახდამდე. მოგება დაბეგვრამდე ამონაგების 4.8%-ს შეადგენს. 2020 წელს აღნიშნული კოეფიციენტი 1.6%-ის ტოლია. კოეფიციენტის ზრდა გამოწვეულია 2021 წელს საოპერაციო მოგების ზრდით.
- ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1.65-ს შეადგენს, ხოლო მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივების 60%-ია; აღნიშნული ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2020 წელს 1.53-ის, ხოლო ამ წლის მიმდინარე ვალდებულებები მთლიანი აქტივების 64%-ის ტოლია. აღნიშნული კოეფიციენტი 2021 წელს კომპანიამ 2020 წელთან მიმართებაში გააუმჯობესა მიმდინარე აქტივების დაახლოებით 1.3 მლნ-მდე ზრდით.
- აქტივზე უკუგების კოეფიციენტი გამოითვლება წმინდა მოგების აქტივებზე შეფარდებით, შედეგად ვიღებთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომელიც გვამლევს საშუალებას გავიგოთ ბიზნეს პროცესებში ჩართული აქტივები, რა თანხას გამოიმუშავენ. 2021 წლისთვის აქტივზე უკუგების კოეფიციენტი 12,4% შეადგენს, 2020 წელს კი 4,2%-ს შეადგენდა.

ხელმძღვანელობა არ მოელის აღნიშნული საკითხიდან გამომდინარე მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებებს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, შემდეგი გარემოებების გამო:

- ანგარიშების შედგენის მომენტისათვის მოთხოვნა მიწოდების მომსახურება უპრობლემოდ ხორციელდება და შეფერხებას ადგილი არ ჰქონია;

სხვა არსებითი რისკი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ლიკვიდურობაზე, კომპანიას არ გააჩნია. სასამართლო დავებთან დაკავშირებული რისკების მხრივ, კომპანია სასამართლო დავა არ მიმდინარეობს.

კომპანიის დირექტორი: _____